

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N010/20<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ წულუკიძე (სტუდენტი)

### შეკითხვა

ადვოკატი იცავდა კლიენტის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა საქმისწარმოების პერიოდში აღმოაჩინა, რომ საქმე გარკვეულწილად ეხება ყოფილი კლიენტის ინტერესებსაც. ამჟამინდელი საქმე არ უკავშირდებოდა ყოფილი კლიენტისათვის გაწეულ იურიდიულ მომსახურებას. შეუძლია თუ არა ადვოკატს გააგრძელოს ამჟამინდელი კლიენტის ინტერესების დაცვა?

### ანალიზი

ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომაც, არ თავისუფლდება პროფესიული საიდუმლოების გაუმჟღავნებლობის ვალდებულებისგან, რომლის დაცვა ვადით არ არის შემოსაზღვრული. ადვოკატის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, რომელზეც ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს მესამე პირს. ახალი კლიენტის საქმე დაკავშირებული არ უნდა იყოს ყოფილი კლიენტის იმ საქმესთან, რომელსაც აწარმოებდა თავად ადვოკატი, რადგან ეს საფრთხეს უქმნის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს კლიენტთა ინტერესების საზიანოდ მოქმედება, მათ შორის ყოფილი კლიენტის საქმის თაობაზე ინფორმაციის გამოყენებით. აღნიშნული შესაძლებელია დაშვებული იყოს კლიენტისგან მიღებული თანხმობის შემთხვევაში. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა რაც შეიძლება გამომდინარეობს ყოფილი კლიენტისგან მიღებული პროფესიული საიდუმლოების დაცვიდან. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი წარმომადგენლობის რომელიმე ეტაპზე აღმოაჩენს, რომ არსებული კლიენტის საქმე უკავშირდება ყოფილი კლიენტისგან მიღებულ ინფორმაციას, ადვოკატმა უნდა შეაფასოს აღნიშნული საფრთხე და ასეთი სახის ინტერესთა დაპირისპირების შემთხვევაში შეწყვიტოს არსებული კლიენტის წარმომადგენლობა.

### დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის არსებული საქმე დაკავშირებულია ყოფილი კლიენტის ინტერესებთან, თუმცა აღნიშნული საქმე და ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ უკავშირდება მიმდინარე საქმეს, ადვოკატს პროფესიული ნორმები არ უზღუდავს ამგვარ წარმომადგენლობას.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5edba82e771f0.pdf/zeperi%20010.20.%2005.03.20.pdf>